საჯარო სამართლის იურიდიული პირი -
ბათუმის შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტის
წ ა რ მ ო მ ა დ გ ე ნ ლ ო ბ ი თ ი ს ა ბ ჭ ო

გ ა დ ა წ ყ ვ ე ტ ი ლ ე ბ ა № 07-01\14

ქ. ბათუმი 21 ივნისი, 2019 წ

საჯარო სამართლის იურიდიული პირის - ბათუმის შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტის ადმინისტრაციის ხელმძღვანელის (კანცლერის) კანდიდატურის დამტკიცების თაობაზე

„უმაღლესი განათლების შესახებ“ საქართველოს კანონის მე–18 მუხლის, ბსუ-ს წესდების მე-10 მუხლის, ,,ბსუ-ს ადმინისტრაციის ხელმძღვანელის კანდიდატურის შერჩევის შესახებ“ აკადემიური საბჭოს 2019 წლის 20 ივნისის №06-01/60 დადგენილებისა და ბსუ-ს საარჩევნო კომისიის 2019 წლის 21 ივნისის კენჭისყრის შედეგების შემაჯამებელი ოქმის (№1) საფუძველზე წარმომადგენლობითმა საბჭომ

გ ა დ ა წ ყ ვ ი ტ ა

1. საჯარო სამართლის იურიდიული პირის - ბათუმის შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტის ადმინისტრაციის ხელმძღვანელის (კანცლერის) თანამდებობაზე ფარული კენჭისყრით დამტკიცდეს ბსუ-ს აკადემიური საბჭოს მიერ მიერ შერჩეული კანდიდატურა - ალექსანდრე მითაიშვილი და შეუდგეს უფლებამოსილების განხორციელებას 2019 წლის 24 ივნისიდან.
2. ჯემალ ანანიძეს, 2019 წლის 23 ივნისიდან შეუწყდეს შრომითი ურთიერთობა ადმინისტრაციის ხელმძღვანელის თანამდებობაზე, 4-წლიანი უფლებამოსილების ვადის გასვლის გამო.
3. გადაწყვეტილება აღსასრულებლად და გასაცნობად დაეგზავნოს ბსუ-ს მართვის ორგანოებს, ყველა სტრუქტურულ ერთეულს, ალექსანდრე მითაიშვილს და ჯემალ ანანიძეს.
4. გადაწყვეტილება ძალაშია ხელმოწერისთანავე.

წარმომადგენლობითი საბჭოს სპიკერი,
პროფესორი **დავით ბარათაშვილი**